



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	MA in Journalism and Mass Communication
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	უმაღლესი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში
ინლისურად:	Master of Social Science, in Mass Communication/Journalism
პროგრამის ხელმძღვანელი	მარინა ვაშაყმაძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, I წელიწადი – 70 ECTS კრედიტს, II წელიწადი 50 ECTS კრედიტს.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

პროგრამის სტრუქტურის შემადგენელი 120 კრედიტი შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- სავალდებულო საგნები: 63 ECTS;
- არჩევითი საგნები: 42 ECTS (შეთავაზებული 70 ECTS-დან);
- სამაგისტრო ნაშრომი/ან სამაგისტრო პროექტი: 15 ECTS

ზემოაღნიშნულ გადანაწილების სავალდებულო ნაწილში პრაქტიკულ კომპონენტზე მოდის 35 ECTS, თეორიულ კომპონენტზე 28 ECTS, კვლევის კომპონენტზე 15 ECTS. დარჩენილი 42 ECTS ნაწილდება არჩევით თეორიულ და პრაქტიკულ საგნებზე სტუდენტის ინტერესის შესაბამისად.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 21 ECTS კრედიტი აითვისოს ალტერნატიული გზით - თავისუფალი კრედიტებით, რაც გამოიხატება კავკასიის უნივერსიტეტის ან პარტნიორი უნივერსიტეტის პროგრამებით გათვალისწინებული საგნების გავლით ან პრაქტიკული საქმიანობით ჟურნალისტიკასა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში, ასევე სამეცნიერო საქმიანობით.

პროგრამაზე დაშვების
წინაპირობა

- კავკასიის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (გასაუბრება). სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (გასაუბრება) ტარდება კავკასიის მედიის სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია წინასწარ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- აპლიკანტმა პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის სერტიფიკატი ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება. თუ დამთავრებული აქვთ საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის მედიის სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დეკანი, მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ღრმა და სისტემური ცოდნა. პროგრამა ფოკუსირებულია კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე; ასევე, ანალიტიკური უნარებისა და ისეთი პრაქტიკული ცოდნის განვითარებაზე, რაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულს მასმედიის საშუალებებისა და სიანფორმაციო აქტივობების დაგეგმვა და აღსრულებას შეაძლებინებს.</p> <p>ზოგადად, პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს. ის უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებულ სწავლებას, შედეგად კი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, მოქალაქეობრივი აზროვნების მქონე სპეციალისტების მომზადებას.</p> <p>სპეციალიზაცია "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების საუკეთესო საშუალებაა მათთვის, ვინც საინფორმაციო საშუალებებში, მედიის კვლევით ორგანიზაციებში ან მედია კომპანიებში მუშაობს. სტუდენტები შეისწავლიან: ჟურნალისტიკის საფუძვლებს, პროფესიულ სტანდარტებს, ახალ მედიას, მედიის მენეჯმენტის საფუძვლებს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლს დემოკრატიის პირობებში, მედიის კვლევის მეთოდებს, მასობრივი კომუნიკაციის თეორიებს, კვლევების დაგეგმვას, აღსრულებას, შეფასებას; მათი შედეგების ინტერპრეტაციასა და გამოყენებას; პარალელურად კურსის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან კომუნიკაციისა და მედია მენეჯმენტის ეფექტურ სტრატეგიებს.</p> <p>მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე ჟურნალისტიკა ახალი დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის მოქალაქეებს აწვდის იმ ზუსტ და სანდო ინფორმაციას, რაც მათ გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველდღიურად სჭირდებათ. ის ეწევა ძალაუფლების მქონეთა უწყვეტ მონიტორინგს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად და პრევენციისათვის. ის მოქალაქეებს მარტივად და ნათლად განუმარტავს იმ ფუნდამენტური ცვლილებების და რთული პროცესების არსს, რაც თან სდევს პოლიტიკური სისტემის სრულყოფისაკენ გადადგომულ ნაბიჯებს, ეკონომიკურ რეფორმებს, ინსტიტუციურ მშენებლობას, საგარეო პოლიტიკაში ახალი ვექტორების გაჩენას. ის მოქალაქეებს მოსაზრებებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებას აწვდის და რთავს მათ დებატებში საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.</p> <p>მაღალი პროფესიული სტანდარტების ჟურნალისტიკას ასეთივე სტანდარტების მატარებელი ჟურნალისტები ქმნიან. ჩვენი პროგრამის მიზანია ისეთი ჟურნალისტების მომზადება, რომელთაც სიღრმისეულად ესმით ჟურნალისტიკის ნორმები, ღირებულებები, ინსტრუმენტები და სტანდარტები; რომლებიც საფუძვლიანად ერკვევიან ჟურნალისტური პრაქტიკის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებში და ფლობენ საკმარის ცოდნას იმ ინტელექტუალური გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც ჟურნალისტიკას აყენებს თანამედროვე გლობალური რეალობა.</p>
-------------------------	---

<p>პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფენურის აღმწერის სამაგისტრო დონის სწავლების შედეგებს უზრუნველყოფს ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით და კვლევითი კომპონენტის სინთეზით მიღწეული ცოდნა.</p> <p>კერძოდ, პროგრამის მოცულობა 120 ECTS-ის კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები (როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე ზოგადი უნარების თვალსაზრისით), სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები, სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული დისციპლინები და მათი სილაბუსები და სხვა დამატებითი ინფორმაცია შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სოციალურ მეცნიერებათა დარგის სამაგისტრო საფენურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას.</p> <p>კერძოდ, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომელსაც კურსდამთავრებული იღებს პროგრამის გავლის შემდეგ:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიღრმისეულად აქვს გააზრებული ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის სამოქალაქო და სოციალური მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ის ვალდებულებები, რასაც მათ ამ პროფესიული ჯგუფის წევრობა აკისრებს. • აქვს მაღალი დონის ცოდნა და კარგად განვითარებული ტექნიკური უნარები იმისათვის, რომ შესაბამისი აღჭურვილობის და ტექნოლოგიის გამოყენებით, შეძლონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, მოკვლევა, წყაროებთან პროფესიული ეთიკის დაცვით ურთიერთობა, გაანალიზება, ორგანიზება, სინთეზი და აუდიტორიისათვის გადაცემა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სხვადასხვა ფორმატებში. • აქვს ღრმა თეორიული ცოდნა და უნარები განახორციელონ კვლევა მასობრივი კომუნიკაციების სფეროში, შეაფასოს სხვის მიერ ჩატარებული კვლევის ხარისხი და სანდოობა, და გამოიყენოს კვლევის შედეგები პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს მედია საშუალებათა ფართო სპექტრში - გაზეთებში, ჟურნალებში, რადიო კომპანიებში, ტელეკომპანიებში, ინტერნეტ გამოცემებში და ინტერნეტ სამაუწყებლო საშუალებებში, საინფორმაციო სააგენტოებში, ასევე მედიის დაგეგმვის, მედიის კვლევის და სასწავლო ორგანიზაციებში; საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში; • აქვს შესაძლებლობა, რომ კურსის გავლის შემდეგ მაღალი პროფესიული სტანდარტით და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად იმუშაოს ახალ, კონკურენტულ გარემოში. • აქვს საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ იმოქმედოს მოულოდნელ და მულტიდისციპლინურ გარემოში და ადმინისტრირება გაუწიოს სფეროში დაგეგმილ პროექტებს; • აქვს ჟურნალისტიკის და მედია პროფესიონალისთვის აუცილებელი კომპეტენციები: აკადემიური წერისა და კომუნიკაციის სფეროსთვის საჭირო დოკუმენტების პროფესიონალურ დონეზე შექმნის უნარი; მედია პროდუქტების და პროექტების დაგეგმვისა და მართვის, ასევე მედიის კვლევის დაგეგმვის, მართვის და ანალიზის უნარი; <p>დასკვნის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის აუცილებელი ღრმა ანალიზის უნარი, რაც შეიძლება ემყარებოდეს კონკრეტულ მოცემულობას, ან კვლევას. • აქვს უნარი, რომ კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ასევე მოცემულ ან ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, შეძლოს
---------------------------------	--

<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის პირველი გამოშვება იგეგმება 2014-2015 სასწავლო წელს. ამჟამად პროგრამაზე რეგისტრირებულია 5 სტუდენტი. მათ შორის მაპროფილებელი ხაზით დასაქმებულია 3 სტუდენტი. აქტიური მოლაპარაკება წარმოებს ორი სტუდენტის სტაჟირების თაობაზე. დასაქმებულთა ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა შრომის ბაზრის მოთხოვნები, რაც შესაბამისად აისახა სასწავლო კურიკულუმში პროგრამის განვითარების თვალსაზრისით.</p> <p>აღნიშნული ასევე მუდმივადაა გათვალისწინებული კავკასიის უნივერსიტეტის მიერ 2006 წლიდან დღემდე გაფორმებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის მემორანდუმებში, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის სრულყოფა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებზე.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა და დასაქმების სამსახური.</p> <p>ჩვენი კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ბეჭდურ პერიოდულ პრესაში (გაზეთები და ჟურნალები), რადიო კომპანიებში, ტელეკომპანიებში, ინტერნეტ გამოცემებსა და ინტერნეტ სამაუწყებლო საშუალებებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სარეკლამო და პიარ სააგენტოებში, საჯარო, არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებში, კვლევით ორგანიზაციებში.</p> <p>კურსდამთავრებულები დასაქმებას შეძლებენ მედიასაშუალებათა ფართო სპექტრში - გაზეთებში, ჟურნალებში, რადიო კომპანიებში, ტელეკომპანიებში, ინტერნეტ გამოცემებში და ინტერნეტსამაუწყებლო საშუალებებში. საინფორმაციო სააგენტოებში, პიარ-სააგენტოებში. ასევე დასაქმდებიან სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლევით და სასწავლო ორგანიზაციებში. კავკასიის მედიის სკოლას დღეისათვის თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული 20-ზე მეტ მედიასაშუალებასთან.</p> <p>ტელე და რადიო მაუწყებლები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტელეკომპანია „მაესტრო“ • სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“ • „რადიო თავისუფლება“ • რადიო „კომერსანტი“ • რადიო „პალიტრა“ • რადიო „უცნობი“ • რადიო „პოზიტივი“ <p>დამოუკიდებელი სტუდია: სტუდია „რე“</p> <p>ინტერნეტ გამოცემები და მაუწყებლები:</p> <ul style="list-style-type: none"> • „ნეტგაზეტი“ • პალიტრა TV • სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ • შპს „მვპ“ (news.ge, „24 საათი“; WEEKEND) <p>ბეჭდური მედია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაზეთი „ბათუმელები“ • გაზეთი „რეზონანსი“ • ჟურნალი „ლიბერალი“ • ჟურნალი „სითი“ • ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ <p>საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო:</p> <ul style="list-style-type: none"> • პიარ სააგენტო სსიპ "სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრი" • პიარ სააგენტო "პერიტუს გრუპი" • პიარ სააგენტო "ფაბლისითი გრუპი" • აიდეუს ბორჯომი საქართველოსა (შპს აიდეუს ბორჯომი ბევრიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი <p>საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია</p> <p>საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth4Media“ (კავკასიის მედიის სკოლა არის ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი)</p> <p>დასაქმებულო პარტნიორთა წრის გაფართოება კვლავაც რჩება კავკასიის უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიზნებს შორის.</p>
----------------------------	---

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% - 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% - 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% - 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% - 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი - ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
- პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: სავლე მუშაობა, ინდივიდუალური პროექტი და სხვ.
- დისკუსია/დებატები - ინტერაქცია;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, რომლის დროსაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში.
- ევრისტიკული მეთოდი - სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივად გადაწყვეტა;
- შემთხვევის ანალიზი (Case study) - კონკრეტულ შემთხვევების განხილვა, რომლის დროსაც ხდება საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლა;
- გონებრივი იერიში (Brain storming) - კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბება და გამოთქმის ხელშეწყობა.
- დემონსტრირების მეთოდი - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი: ინდუქციური მეთოდი - სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტული საკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ; დედუქციური მეთოდი - ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკური პროცესი, ანუ პროცესი ზოგადიდან კონკრეტული საკენ; სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი - სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა; სინთეზის მეთოდი - ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი - მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- ელექტრონული სწავლება (E-learning)

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
მასობრივი კომუნიკაციის თეორია	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან, მასობრივი კომუნიკაციის არსს; ბეჭდვითი მედიის სპეციფიურ საკითხებს; ადამიანთა კომუნიკაციის საფუძვლებს; აუდიო, ვიდეო, მულტიმედიას, როგორც თანამედროვე მედია საშუალებებს; Media Dependency Theory; Agenda-Setting theory; Diffusion Theory; Spiral of Silence Theory; The media equation theory; პოპულარული კულტურას, როგორც გართობას; რეკლამას, მედიის გამოყენებას ბაზარზე; საზოგადოებასთან ურთიერთობას: საზოგადოებასთან ურთიერთობას; კონტროლის საშუალებებსა და ეთიკას; მედიის კრიტიკას და მედიის ეთიკურობას.	სავალდებულო	7	I
ახალი ამბები/ჟურნალისტური წერის ტექნიკა	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ჟურნალისტურ პრინციპებს, პროფესიის საფუძვლებს, ეთიკურ ნორმებს და ახალი ამბების მოძიება/გადმოცემის ტექნიკას. საგნის მსვლელობისას განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ახალი ამბის სტრუქტურა, საინტერესოდ და მიმზიდველად წერის ხელოვნება, წყაროების მოძიება და მათთან მუშაობა, ინტერვიუს მომზადება და შესრულება; ჟურნალისტური გამოძიების ელემენტები. კურსის განმავლობაში სტუდენტები შექმნიან საკუთარ ინდივიდუალურ ჟურნალისტურ პროდუქტს.	სავალდებულო	7	I

<p>აკადემიური წერა</p>	<p>აკადემიური წერის კურსი გულისხმობს სტუდენტებისთვის იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების მიცემას, რომელიც აუცილებელია აკადემიური ნაშრომის მოსამზადებლად. კურსი მოიცავს აკადემიური წერის ძირითად ელემენტებს და პრინციპებს თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაიცნობენ აკადემიური წერის არსსა და საჭიროებას; ისწავლიან თუ რა ტიპის აკადემიური ნაშრომები არსებობს, რა სტრუქტურული ელემენტებისგან უნდა შედგებოდეს ისინი და რა ფორმატით უნდა იყოს წარმოდგენილი და, ზოგადად, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ისინი. განხილული იქნება აკადემიური ნაშრომის ძირითადი არგუმენტის შეკვირვის პრინციპი და აბზაცის აგების პრინციპები. რამდენადაც კურსი საბაკალოვრო პროგრამის ნაწილია და ამ საფეხურზე სტუდენტები არ წერენ დიდი მოცულობის აკადემიურ ნაშრომს (მაგ.: დისერტაცია, სამეცნიერო სტატია და ა.შ.), ძირითადი ყურადღება დაეთმობა ესეს (არგუმენტირებული) წერას. ამასთანავე ყურადღება გამახვილდება ქართული ენის მართლწერის საკითხებზე და ასევე პრობლემურ გრამატიკულ თუ სტილისტურ ასპექტებზე. ყურადღება გამახვილდება აკადემიური სტილის დაცვის საკითხებზე, წყაროების მითითების სათანადო წესებსა და ა.შ.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>I</p>
<p>მედიის სამართალი და საზოგადოებრივი პოლიტიკა</p>	<p>მედიის შინაარსი და მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში. მედიის ფუნქციები. მედიის სამართლებრივი გარანტიები ქართულ კანონმდებლობაში. მედია და სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება. მაუწყებლის, პრესისა და ახალი მედიის თავისუფლებები. მედია და ინფორმაციის თავისუფლება. კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მაუწყებელთა სახეები და მაუწყებლობის ლიცენზია. მედიის თანამშრომელთა “ქცევის კოდექსი”. მედია თავისუფლებათა შეზღუდვა. მედიის სამართლებრივი გარანტიები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ფარგლებში; აქტუალური კაზუსების განხილვა. მედიის სამართლებრივი გარანტიები ევროპული სამართალში (primary law, დირექტივა). კოლიზია მედიასა და პირად არაქონებრივ უფლებებს შორის.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>I</p>

<p>ვიდეოკამერით გადაღების ტექნიკა, სამონტაჟო პროგრამები და მათი გამოყენება, ლაბორატორიული</p>	<p>ა)მედიის სკოლაში არსებული კამერის ტექნიკურ პარამეტრების გაცნობა; სამონტაჟო პროგრამის Adobe Premier-ის გაცნობა; ბ)ე.წ. სიკვანსური გადაღება და მონტაჟი; გ)ინტერვიუ: ქუჩის ინტერვიუ (ე.წ. ვოქს-პოპი), ინტერვიუს ჩაწერა შენობაში/კაბინეტში; დ)განათებების როლი გადაღებისას; ე.წ. რვიანი ინტერვიუს გადაღება; ე)ნატურალური ხმებისა და მუსიკის როლი რეპორტაჟის შექმნისას; ვ)სუბტიტული კამერით გადაღება და მონტაჟი; ზ)ხმის ჩაწერა და მონტაჟი. პროგრამა Sound Forge-ის გაცნობა; თ)მარტივი გრაფიკის შექმნა: ტიტრები, რუკა, ფოტოები. პროგრამა Adobe Photoshop-ის გაცნობა. ი)მარტივი ანონსების მონტაჟი (ე.წ. ჰედლაინები); კ)რთული ანონსების მონტაჟი (გადაცემები ანონსები, სარეკლამო რგოლები); ლ)კადრის, მონტაჟისა და რეჟისურის როლი ე.წ. თოქ-შოუებში; მ)რა ტიპის ვიდეო მასალის გადაღება შეიძლება დაგჭირდეს საინფორმაციო გადაცემებში.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>I</p>
<p>ფოტოჟურნალის ტიკა</p>	<p>კურსის ფარგლებში სტუდენტების შეისწავლიან როგორც ფოტოგრაფიის ისტორიას და მის ცნობილ წარმომადგენლებს, ასევე კამერის ტექნიკური აღწერილობას - ყველა დეტალს, რაც საჭიროა ხარისხიანი ფოტოს გადასაღებად: სიჩქარეს, დიაფრაგმას, ფოკუსს, განათებას, ოპტიკას; კომპოზიციის ელემენტებს - იმას, თუ როგორ ააგონ კადრი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ფოტორეპორტიზზე, სადაც ფოტომასალა ტექსტთან ერთად ეფექტურ მნიშვნელობას იძენს. კურსის განმავლობაში გათვალისწინებული პრატიკული დავალებების შესრულება და ფინალური ინდივიდუალური ფოტოპროექტის წარმოდგენა.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>II</p>

<p>ახალი მედია</p>	<p>მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან ახალი მედიისა და ონლაინ კომუნიკაციის საფუძვლებს; მიღებენ ტრადიციული და ციფრული ტენოლოგიების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ახალ მედია საშუალებებთან მუშაობის გამოცდილებას.</p> <p>სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას, ვიზუალური და აუდიო ინფორმაციის შექმნასა და მათ ვებ-გვერდზე განთავსებაში. ონლაინ კონტენტის შემდგომ მართვაში.</p> <p>სტუდენტები შეისწავლიან კითხვადი და ეფექტური, მედია პროდუქტის შექმნისა და ონლაინ ტრესურსის რეიტინგის ამალგების საშუალებებს. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდება ინტერნეტისთვის წერის სპეციფიკაზე.</p> <p>საგანი მორგებულია სტუდენტის პროფესიული ინტერესებზე და ინდივიდუალური პროექტების განხორციელების გზით ცოდნის გაღმავების საშუალებას იძლევა.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>II</p>
<p>სამაუწყებლო ჟურნალისტიკა</p>	<p>კურსის განმავლობაში სტუდენტების შეისწავლიან პროფესიონალური მასალების შექმნას სამაუწყებლო მედიისთვის: რადიოსთვის და ტელევიზიისთვის. საგნის მიზანია, რომ სტუდენტს გამოუმუშავოს ყველა ის კომპეტენცია, რაც მას მაუწყებლებისთვის მასალების ინდივიდუალურად მოსამზადებლად ჭირდება. ისინი პრაქტიკულად იმუშავენ ტექსტების წერაზე, ვიზუალური და აუდიო მასალების გათვალისწინებით; ისწავლიან ახალ ამბავში თუ ისტორიაში საინტერესო ფოკუსის მონახვას, ამბის დაგეგმვას, ტექსტის და აუდიო/ვიდეომასალების ლოგიკური სტრუქტურით დალაგებას; მთავარ კითხვებზე პასუხების მოკლე დროში მონახვას; რესპონდენტებთან და წყაროებთან მუშაობას; ნარკვევების მომზადებას; პირდაპირი ეთერის რეჟიმში და “დედლაინში” ახალი ამბის თხრობას. კურსის ფარგლებში მომზადდება ინდივიდუალური მასალები სამაუწყებლო მედიისთვის.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>II</p>

<p>კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში</p>	<p>კურსი მიმოიხილავს საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდებს. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ კვლევის მიზნის ჩამოყალიბებას და კვლევის დაგეგმვას მის შესაბამისად და რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შეგროვებასა და გაანალიზებას. ისინი ასევე შეძლებენ კვლევების შეფასებას მეთოდოლოგიური გამართულობის თვალსაზრისით.</p> <p>სტუდენტები გაიაზრებენ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ეთიკურ შედეგებს. კურსის ფარგლებში ასევე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: აუდიტორიის, კონკურენციის და რეკლამის შემკვეთთა კვლევა, ტირაჟის აუდიტი; აუდიტორიის კვლევა ელექტრონულ მედიაში; რატომ არის კვლევა მნიშვნელოვანი საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის; კვლევები რეკლამისათვის (ბრენდთან და მარკეტინგულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირება, მეთოდის შერჩევა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მონაცემთა გაანალიზება, კვლევის შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადება).</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>7</p>	<p>III</p>
<p>სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (ან MCOM 5332)</p>	<p>თეზისი არის ოფიციალური კვლევითი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს აღწერილობითი, ისტორიული ან ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს, ჩატარებულს მისაღები სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით და გადმოცემულს კავკასიის უნივერსიტეტისათვის მისაღებ ფორმატში.</p> <p>წარმატებული თეზისი ადასტურებს სტუდენტის უნარს, დამოუკიდებლად და კომპეტენტურად დაამუშაოს და გაანალიზოს ინფორმაცია, კვლევის შერჩეული მეთოდოლოგიის გამოყენებით.</p> <p>წარმატებული თეზისი წარმოადგენს ავტორის წვლილს ცოდნის სამყაროში და წყაროს სხვა მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის. მომზადდება კვლევითი ღირებულების მქონე ნაშრომი სტუდენტისათვის საინტერესო საკითხზე.</p>	<p>სავალდებულო არჩევითი</p>	<p>15</p>	<p>IV</p>

<p>სამაგისტრო პროექტის შესრულება და დაცვა (ან MCOM 5331)</p>	<p>პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაირსახეობას – თეზისის პრაქტიკულ და მოქნილ ალტერნატივას. ის საშუალებას აძლევს სტუდენტს, მოახდინოს პროფესიული გამოცდილებისა და პროგრამის განმავლობაში შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სინთეზი კონკრეტულ აუდიტორიაზე გათვლილი მაღალპროფესიული პროდუქტის შესაქმნელად.</p> <p>წარმატებულ პროექტს აქვს საზოგადოებრივი ან კომერციული ღირებულება და/ან ის მნიშვნელოვანია კონკრეტული პროფესიული დარგის განვითარებისათვის (ჟურნალისტიკის, რეკლამის, მენეჯმენტის ან საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის).</p> <p>პროექტის სახით შექმნილი პროდუქტის ზოგიერთი ნიმუშია პროფესიული კალიბრის საგაზეთო ან საჟურნალო სტატიების სერია, ტელე ან რადიოგადაცემების ციკლი, დოკუმენტური ფილმი, ფოტოესე, მულტიმედია პრეზენტაცია, პროგრამა არსებულ მედია საშუალებაში რეალური პრობლემის დასაძლევად, მაგალითად, გაზეთის რედიზაინი, ჟურნალისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ახალ აუდიტორიაზე გასასვლელად, საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია ან სარეკლამო კამპანია არსებული ორგანიზაციისათვის, ბიზნეს-გეგმა ახალი მედია საშუალების შესაქმნელად, კომუნიკაციის სფეროში მომუშავე პროფესიონალების გამოკითხვა, და სხვა.</p> <p>სტუდენტი გამოიყენებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს საზოგადოებრივი ან კომერციული ღირებულების მქონე პროდუქტის შესაქმნელად მისთვის საინტერესო სფეროში.</p>	<p>სავალდებულო არჩევითი</p>		<p>IV</p>
<p>კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების გაშუქება</p>	<p>კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშვოს შექმნილი გარემოებების კრიტიკული ანალიზის უნარი და მოამზადოს ის კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების გასაშუქებლად. საგნის ფარგლებში განხილული იქნება კონფლიქტის გენეზისის თეორია, “ომისა” და “მშვიდობის” ჟურნალისტიკის კონცეფციები. აქცენტი გაკეთდება ხელისუფლებების მხრიდან მედიის გამოყენებაზე პროპაგანდისტული მიზნებისთვის, განხილული იქნება შემთხვევები (case-study), ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმები. თეორიული ცოდნის გარდა სტუდენტები შეისწავლიან კონფლიქტის მხარეებთან მუშაობის სპეციფიკას, დაზარალებულებთან კომუნიკაციის ფორმებს, კრიზისულ გარემოში უსაფრთხო ქცევის წესებს. კურსის განმავლობაში შეიქმნება ჟურნალისტური პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>II</p>

<p>პოლიტიკისა და მთავრობის გაშუქება</p>	<p>კურსის განმავლობაში მოხდება შემდეგი საკითხების ძირეული შესწავლა: სახელისფლებო სტრუქტურები და მათთან კომუნიკაცია, სამთავრობო და პოლიტიკური კრიზისების დროს მუშაობა, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთა, კვლევა და გასაგები ფორმებით, ჟურნალისტური პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით გადმოცემა. კურსის განმავლობაში აქცენტი გაკეთდება PR-ზე, როგორც პოლიტიკური პროცესების ძირითადი შემადგენელზე და პროპაგანდის იმ მეთოდებზე, რომელთა ცნობაც და რომელთა თავიდან აცილებაც მართებთ მომავალ მედიაპროფესიონალებს. კურსის შედეგად სტუდენტი გამოიმუშავებს პრაქტიკულ ცოდნას, უნარებს და ჩვევებს პოლიტიკურ პროცესის გასაგებად და სიღმისეულად გასაშუქებლად; გაიზრდება სტუდენტის კომპეტენცია, ამაღლდება მისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა, ვინაიდან კურსის განმავლობაში თითოეული სტუდენტი სხვადასხვა მედიაფორმატში პრაქტიკულად იმუშავებს პოლიტიკისა და მთავრობის გაშუქებზე.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>II</p>
<p>მედია მენეჯმენტი</p>	<p>სასწავლო კურსი მოიცავს, როგორც მთლიანად მედიის მენეჯმენტის საფუძვლებს, ისე, კონკრეტულად ახალი ამბების განყოფილების მენეჯმენტსა და შინაარსის დაგეგმვას: მედიაორგანიზაციის მენეჯმენტი, მენეჯერის უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილებების მიღება, სტრატეგიული დაგეგმვა და პერსონალის მართვა, მედიაორგანიზაციის სტრუქტურა; სარედაქციო მენეჯმენტი და ახალი ამბების განყოფილების ადმინისტრაციული და შინაარსობრივი მართვა, კონტენტის დაგეგმვა და მომზადება. კურსი მოიცავს თეორიულ ნაწილს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, როგორც ლექციის დროს, ისე საშინაო დავალებების სახით. სალექციო კურსი ასევე მოიცავს დისკუსიებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებს, დებატებს, ვიდეო სესიებს. კურსის მეორე ნახევარში სტუდენტებს დაევალებათ მცირე კვლევის წარმოება და პრეზენტაცია.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>III</p>

ინტერკულტურული კომუნიკაცია	კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის თანამედროვე კომუნიკაციის მეთოდებს; ორგანიზების სხვადასხვა თეორიულ მოდელს; კულტურას, როგორც ორგანიზაციის პრინციპს, მენეჯმენტის სხვადასხვა ფორმას; საკითხები შეეხებას ტექნოლოგიას და თანამედროვე ციფრული წინას; იმპროვიზაციას, როგორც ორგანიზაციულ პრინციპს; დემოკრატიზაციას; გლობალურ მედიას და ბაზარს; კომუნიკაციას და კულტურულ გლობალიზაციას; ისტორიულ კონტექსტს; საერთაშორისო კომუნიკაციას და თანამედროვეობას.	არჩევითი	7	III
დოკუმენტური ფილმი	რა არის დოკუმენტური კინო? დოკუმენტური ფილმის ჟანრები. ამბავი დოკუმენტური ფილმისთვის. თხრობის კლასიკური წესები. ვიზუალური თხრობა. ვიზუალური თხრობის იარაღი: კადრირება, კადრის ზომა, მონტაჟი. მონტაჟის ძირითადი წესები. ფილმწარმოების ეტაპები.	არჩევითი	7	III
გლობალური ჟურნალისტიკა	კურსის განმავლობაში, სტურენტები გაეცნობიან კომუნიკაციის ყველა ძირითად სისტემას, არსებულს დღევანდელ მსოფლიოში: საინფორმაციო სააგენტოები, მედია კონგლომერატები, ახალი მედიის ფორმატები, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სარეკლამო სააგენტოები, მულტიმედია კორპორაციები. ისინი შესძლებენ გლობალურ კონტექსტში განიხილონ მედიის განვითარების, პრესის თავისუფლების, ტერორიზმთან გლობალური ბრძოლისა და მედიის, ისევე როგორც ზოგადად ომის გაშუქების საკითხები. სტუდენტებს აგრეთვე მიეცემათ საშუალება შეისწავლონ მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციები, მათი ისტორია და როლი გლობალური კომუნიკაციის დოქტრინებისა და რეგულაციების ჩამოყალიბებაში. კომუნიკაციების სისტემების გლობალურ პრიზმაში წარმოდგენასთან ერთად, კურსი განიხილავს მათ როლსა და ადგილს კომუნიკაციის სამყაროში, მათ გავლენას საზოგადოებაზე, ისევე როგორც მათ ნაკლოვანებებს. განსახილველ საკითხთა შორისაა: გლობალური კომუნიკაციის თეორიები, რესის ფილოსოფია და მედია სისტემები. რა ქმნის გლობალურ მედიას? რა უდგება წინ მედიის განვითარებას? გლობალური ომი ტერორიზმთან, მედია და მსოფლიო.	არჩევითი	7	III

<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა</p>	<p>კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან, თუ რა არის საზოგადოებასთან ურთიერთობა; რა განსხვავებას საზოგადოებასთან ურთიერთობას ჟურნალისტიკის, რეკლამისა და მარკეტინგისგან; საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მუდმივი პროცესი; მედიასთან ურთიერთობების როლი საზოგადოებასთან ურთიერთობებში; მედიასთან ურთიერთობების ძირითადი სტრატეგიები; ინტეგრირებული მიდგომა საზოგადოებასთან ურთიერთობისადმი.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>III</p>
<p>პოლიტიკური პიარკამპანების დაგეგმვა და მართვა</p>	<p>PR, როგორც პოლიტიკური პროცესების ძირითადი შემდეგნელი; PR სტრატეგია პოლიტიკურ პროცესებში; საარჩევნო სტრატეგიები, ელექტორალური მოდელები; სტრატეგიის განსაზღვრის კომპონენტები; სტრატეგიის ჩამოყალიბება, მიმდინარეობა, გეგმა; კვლევის ანალიზის ფსიქოლოგიური პროექტირების მეთოდები; PR-ის ტაქტიკური ამოცანები საარჩევნო პროცესში. პოლიტიკური PR -ის ძირითადი მიმართულებები, ეტაპები. საარჩევნო კამპანოვს მართვის პროექტირება. პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და ეფექტური ფუნქციონირება საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>III</p>
<p>რეკლამის თეორია და პრაქტიკა</p>	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება რა არის და რა არ არის რეკლამა; თუ არ ვიცით ვის ველაპარაკებით, ვერ ვიქნებით ეფექტურები; თანამედროვე რეკლამის მოკლე ისტორია; ხაზს ზევით და ხაზს ქვევით; ვიდრე რეკლამის ტექსტს შევადგენდეთ; ვიწყებთ რეკლამის ტექსტის წერას; კარგად ნათქვამი სიმართლე; ჟურნალები და გაზეთები; სატელევიზიო რეკლამა; რადიო რეკლამა და რეკლამა ინტერნეტით; ჯერ არნახული, არგაგონილო; რეკლამა გავაკეთეთ. ახლა რა ვიცით, კარგი გამოვიდა თუ არა?!</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>III</p>

<p>ეკონომიკა</p>	<p>ეკონომიკის არსი. ეკონომიკის პრინციპები, საბაზრო სისტემა, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება. ადამიანთა ერთიერთქმედებები. ეკონომიკის ფუნქციონირება მთლიანობაში. მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. ეკონომიკური აზროვნება. ეკონომიკური ერთიერთქმედებები. ვაჭრობა. ბაზრის მექანიზმი: მოთხოვნა და მიწოდება. კონკურენტული ბაზარი და ფასები. ინდივიდუალური მოთხოვნა და მოთხოვნის წირი. მოთხოვნის წირის გადაადგილება და გადაადგილება მოთხოვნის წირზე. ინდივიდუალური მიწოდება და მიწოდების წირი. ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება. მიწოდების წირის გადაადგილება და გადაადგილება მიწოდების წირზე. ჭარბი მიწოდება, ჭარბი მოთხოვნა. საბაზრო წონასწორობა. ბაზარი და სამთავრობო პოლიტიკა. საზოგადოებრივი პროდუქტები და რესურსები. კონკურენცია და მისი სახეები. მოგების მაქსიმიზაცია. ბაზრის წონასწორობა. მონოპოლიები. წარმოების და ფასდადების გადაწყვეტილებები. რეგულაციები. ეროვნული შემოსავალი. შემოსავლები და ხარჯები. ერთიანი ეროვნული შემოსავალი. რეალური და ნომინალური ერთიანი ეროვნული შემოსავალი. ინვესტიციები და ფინანსური სისტემა. უმუშევრობა. შემოსავლის უთანაბრობა და სიღარიბე. უთანასწორობის რაოდენობრივი განსაზღვრა. სიღარიბის დონე. სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკური პროგრამები.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>7</p>	<p>III</p>
------------------	--	-----------------	----------	------------